სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/144

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათი ხელმძღვანელების და პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2025 წლის 28 ივლისის საბჭოს სხდომის № 10 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამის ხელმძღვანელები:
   1.1. მებათქაშე, პროგრამის ხელმძღვანლად დაინიშნოს პროფესიული განათლების მასწავლებელი ვარლამ ალავიძე;
   1.2. მღებავი, პროგრამის ხელმძღვანლად დაინიშნოს პროფესიული განათლების მასწავლებელი დარეჯან გორგიძე;
   1.3. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, პროგრამის ხელმძღვანლად დაინიშნოს პროფესიული განათლების მასწავლებელი ლევან ბრეგაძე;
2. დამტკიცდეს პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა:
   2.1. მებათქაშე - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 20 ადგილით,
   2.2. მღებავი - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 30 ადგილით,
   2.3. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 15 ადგილით.
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**